

190  
1974



ՀԱՄԵՆԱ Ծ 1974



# საკავშირო აღკკ XVII ყრილობის ბანანული საბჭოთა კავშირის ნორჩი პიონერებისადმი

პიონერებო!  
პიონერული  
ორგანიზაციის  
დროშაზე  
ლენინის  
სახელი,  
ორი ლენინის  
ორღენია.  
გულაგ იყავით  
რევოლუციის  
დიდი ბელადის  
სახელისა და  
სამშობლოს ჯილდოს  
ღირსნი. ეგზალთ  
გახლათ დიდი  
ლენინის  
საქმისათვის,  
კომუნიზმისათვის  
გჭიკსა გეზრქოლუბი.

## ნორჩი პიონერებო!

50 წელია საკავშირო პიონერული ორგანიზაცია ვლადიმერ ილიას ძე ლენინის სახელს ატარებს, უწმიდესად ასრულებს მის ანდერძს, ღირსეულად უჭირავს პიონერული წითელი დროშა. დღეს ეს დროშა თქვენს ხელშია. თქვენ, 70-იანი წლების პიონერები, აგრძელებთ საბჭოთა პიონერების სახელოვან ტრადიციებს. საკავშირო აღკკ XVII ყრილობის დელეგატები გაძლევენ თქვენ კომკავშირულ განაწესს.

## ნორჩი პიონერებო!

იყავით დიდი ლენინის ანდერძისადმი, კოგუ. ნისტური პარტიის საქმისადმი ერთგულნი.

ლენინის ცხოვრება, მშრომელი ხალხის ბედნიერებასათვის მისი ბრძოლა მოზარდი თაობისათვის ყველაზე ნათელი, ყველაზე შთამაგონებელი მაგალითია. თითოეული თქვენგანი მოვალეა კარგად იცოდეს ვლადიმერ ილიას ძე ლენინის ცხოვრება და მოღვაწეობა, მისი ანდერძი, კომუნისტებისა და კომკავშირელებისაგან განუწყვეტლივ სწავლობდეს სამშობლოსა და პარტიის წინაშე თავისი ვალის ღირსეულად მსესას.

სკკ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. ი. ბრენევი მოგმართავდათ რა თქვენ, ამბობდა: „იყო პიონერი — ლენინელი — ეს ნიშნავს ყველაფერში და ყველგან აღზარდო შენში ლენინური თვისებები: შრომისმოყვარეობა, სამართლიანობა, კეთილშობილება, სწავლაში შეუპოვრობა, ცოდნის ცხოვრებაში გამოყენების უნარი, თავისი სამშობლოსადმი სიყვარული, დიდი ლენინის პარტიისადმი უსაზღვრო ერთგულება“.

ამ მამობრივი დარიგების შესრულება ნორჩი ლენინლის, ყველა პიონერული რგოლის, რაზმისა და რაზმეულის მთავარი ამოცანაა.

## ნორჩი პიონერებო!

ყოველთვის გახსოვდეთ: „ღღას თქვენ გაშვები ხართ, ხვალ — საბჭოთა ხალხი“.

შეისწავლეთ და წმინდად შეინახეთ ჩვენი ხალხის რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი ტრადიციები. გიყვარდეთ ჩვენი მრავალეროვანი სამშობლო, იზარდეთ ნამდვილ პატრიოტებად და ინტერნაციონალისტებად.

კარგად ისწავლეთ, შეუპოვრად ამდიდეთ თქვენი გონება ცოდნით, იყავით ცნობისმოყვარენი და მუყაითენი, დისციპლინირებულნი და სამაგალითონი.

ემზადეთ შემოქმედებითი შრომისათვის, დაეუფლოთ შრომით ჩვევებს, თქვენი წვლილი შეიტანეთ უფროსი თაობის საქმეში, მათგან ისწავლეთ შესრულება ჩვენი





12.414

პირითადი კანონისა: „ჩემი კი არა, — ჩემი, ჩემთვის კი არა, — მთელი საზოგადოებისათვის“.

ფიციკურად გამოაწრთეთ თქვენი თავი, გახდით მშთ ნიშნოსნები, იზარდეთ სამშობლოს საიმედო დამცველებად.

**ნორჩო კიონარბაგო**  
ემზადდეთ ასტლგაზარდობის ლენინური კომუნისტური პარტიის რიგებში შემოსვლადად.

ჩვენს ქვეყანაში წითელი ყელსახვევი კომუნისტების, კომკავშირელებისა და პიონერების ერთიანობის რევოლუციური სიმბოლოა. გახდეთ კომკავშირელი — ეს დიდი ღირსებაა. ისწრაფეთ საზეიმო ფიცის ერთგულებით, სწავლაში წარმატებით, სასარგებლო საზოგადოებრივი საქმეებით დაიმსახუროთ უფლება ჩადგეთ ლენინური კომკავშირის რიგებში.

**ნორჩო კიონარბაგო**  
პიონერული ორგანიზაციის დროშაზე ლენინის სახელი, ორი ლენინის ორდენია. მუდამ იყავით რევოლუციის დიდი ბელადის სახელისა და სამშობლოს ჭილდოს ღირსნი. ემზადდეთ გახდეთ დიდი ლენინის საქმისათვის, კომუნისმისათვის მტკიცე მეტროლები.

**ნორჩო კიონარბაგო**  
საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის საქმისათვის საბრძოლველად იყავით მზად!

კომკავშირის XVII ყრილობა.  
კომკავშირის ცენტრალური კომიტეტის კვირველი გელოვანი ე. მ. ტიანთელნიკოვი გახმონს ალკა ცენტრალური კომიტეტის საანბაროვ მოხსენებით.



**კომკავშირის**

6  
ივნისი  
1977

საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტი  
საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტი  
საბჭოთა კავშირის ცენტრალური კომიტეტი

ბაზოლის 1976 წლის

საქ. კ. მ. მ.  
საბჭოთა კავშირის

1  
კ. მ. მ. მ. მ. მ.  
საბჭოთა კავშირის  
ბიულეტენი



# ტყეკაჭი

ქარლო კობახიძე

მხატვარი: ზ. შორანიძე.

მოთხრობა

იქიდან დაღმართი იყო და ადვილად ჩამოვთავეთ პანძილი.

ბიჭებმა გადაიხედეს კლდეზე და შერკითნენ.

— ვაიმე! — აძვამდა დათო.

— რა ვაიმე — გადართა რეზო — რა დროს ვაიმე გახედეთ!

— საიდან ჩავიდეთ? — მომჩერებია დათო.

— ან აქედან იქნება ჩასასვლელი, ან...  
 ით შენ ვაგარდი, დათო, ერთ-ერთი უბრე ჩველად ვაქ  
 მალა დარჩი, გიო, იქნებ ვინმე დღობოდ...  
 — თან მანქანა გამოჩნდეს!... ერთხილად, ბიჭო, ფრთხილად  
 — თან გარბის რეზო. — ერთ-ერთი ჩავაწყობთ!  
 ხან დათოსკენ ვიხედები, ხან — რეზოსკენ, ეგრე მან  
 ნამდე ტრიალებდი, ვიდრე ტყეს არ შეერიოხენ ირ  
 ვენი.

დაგრებიანი — კანკალი ამივარდა, აღარ ვიცი, რ  
 ვენა. ველარ გამორკვევია, მეჩვენება თუ მართლა მესმ  
 მანქანის გუგუნი.

კლდეზე სმირ-სმირად ვიხედები — ბიჭები გერ  
 გამოჩენილან. ამასობაში გავაჩვიე — კი არ მომჩვენ  
 ბია, მართლაც მოლის მანქანა: ხვევი გადმოსჭრა და  
 სერ-სერ წამოვიდა.

ამის შემდეგ რას ვაკეთებდი და რაზე ვფიქრობდი,  
 ველარ გადისხეზებია. ერთი კი მასხოს: შემში დატერ  
 თული მანქანა ხედ მომადგა და გაჩერდა. მანქანის კ  
 ბინიდან ორი გადმოვიდნენ: ელგუჯა. შიუკაშვილი —  
 შოფერი, და ჩემს კლასში რომ არის, ნოდარ ქაიხიშვი  
 ლი — მისი პაპა მახარე. მახარე პაპა მომვარდა და მარ  
 რებს:—

— რა დაგემართა, შვილი? გიო არა ხარ, რეზოს ბ  
 კი? აბა, მომხედე, ნოდარას პაპა ვარ, მახარე.

ელგუჯამ სილაქი გამცხო:

— გიო, რა მოხდა, ბიჭო?! — ისიც თვალში მოჩ  
 ჩერებია, გამეტებით მანჭლრეცს. — რამ გვაგახევა, ბ  
 კო, აღარ იტყვი?

ძლივს ამოვიდგი ენა, კლდისკენ გავიშვირე ხელი:

— დაბლა ტყისმცველი გლია.

ორივენი ისე მიაწყუნდნენ კლდეს, ცველებოდნენ მე  
 კონა.

— ვაი ჩვენს დღეს! — თავში შემოიკრა ხელი მახ  
 რე პაპამ, — აბრაია! როგორ გადავარდა, კაცო, ვინ გა  
 დაავდო!


— პო, ის არის, — თქვა ელგუჯამ და მეერე ბიჭებს  
 გადასძახა, — საიდან ჩახვედით!.. პა?

ეტყობა, დათო აღრე ჩავიდა — იქით უკეთესი ჩას  
 სვლელი იყო, რაკი ელგუჯა და მახარე პაპა ხეცისკენ  
 შებრუნდნენ. ელგუჯა მირბოდა, მახარე პაპა კი ვიშვი  
 შით მიხუხუხებოდა.

თვალს რომ მიეფარნენ, მანქანის საფეხურზე ჩამო  
 ქეტი და თავი ხელებში ჩაურგე, ვფიქრობ და ვფიქრობ:  
 „თურმე რა უცებ შეიძლება დაიღუპოს ადამიანი —  
 მოულოდნელად, დაუდევრობით, დაუფიქრებლობით...  
 სულ ახლახან ავერ იდგა და მანქანის გამორჩენას ელო  
 და... ვინ იცის, სახვლოდ რა საქმის შეკიდებას აპირებ  
 და... ღიოს გამოვიდა შინიდან, ოჯახს აშხავა დაუტო  
 ამა და ამ დროს დაბრუნდებოდა, მაგრამ ველარასოდნ  
 დაბრუნდება. მისთვის სამუდამოდ ჩავიდა მზე, ჩამო  
 ქარი, აიღო თოვლი, შეწყვიტა შრომა ტყემ და თავი  
 სიანესაც სამუდამოდ დეკარგა... რამდენი შრომა  
 იწვალა, მოსაქონებელი მოიქონია, და მამინ, როცა ნა  
 ბიჭი უნდა დაიდრეგებოდა, დაიღუპა. ქვეყნის სიკეთეს  
 უფრთხილდებოდა — ტყეს უფრთხილდებოდა...“

ფიქრებიდან ხმაურმა გამომიყვანა: ტყისმცველი  
 გზაზე ამოვინათა უკვე ელგუჯას ბეჭებში ამოღო ხე  
 კიბა, ხეკა-ხეკა მოდიოდა; მახარე პაპას ფეხებში მოე  
 კიბა ხეკა. მოდიოდნენ და მოხიხნიდნენ. რეზოს  
 ტყისმცველის თოფი და ზურგჩანთა მოჰქონდა. დათო  
 კი ისე მოიკაცებოდა, მიცხვდი, კლდიდან ამოტახნისა...





და ვაჟა დადგომოდა. სახეზე შევხედე — ოფლად იყო დანაწილი, ქაქანებდა.  
 მიცვალებული მანქანის გვერდით დასვენებს. მახარე პაპა გაჭირვებით აიშალა წელში. ელგუჯას მუხლები უთახთახებდა.

სტიკეოდ დავჩერებოდი ტყისმცველს. შიშის ბრალი იყო თუ მოულოდნელობის ელდისა, ხმის ამოდებას ვერავინ გბედავდით.

ელგუჯას ხელები სისხლით ჰქონდა მოთხვრილი. დაიხედა ხელებზე და ამოოხვრით თქვა:

— ცხოხელები, კიი კაცო იყო.

მახარე პაპამაც ამოიხრა:

— ჩამოვლის ეს დაწყვეცილი სიკვდილი და იგბთ ამოიარჩევს, სიმღერას გადავიწყებებს სოფელს. ვინმესა და უხიავ კაცს სიკვდილიც ერიდებდა... ეპ, სიურჟუსა და უხიავ კაცს სიკვდილიც ერიდებდა... მაგრამ დღით არ იცის ამ დაწყვეტილმა... მე მაინც წავეყვანე, ამ სალონის რას ვერხობა, ძლივს გაიძიარა წელში!

ელგუჯამ ცხვირსახოცი ამოიღო და ტყისმცველს სისხლი მოსწმინდა სახეზე, მერე შუბლზე ხელი დაადო:

— ისევე თბილია.

— ჰო, — დაუღასტურა პაპამ, — ახლახან მომყვდარა.

— ბნელი საქმე ჩანს, — ფეჭირიანად თქვა ელგუჯამ და სისხლიანი ცხვირსახოცი გადაადგო, — ვილაყის ხელი იტრევიდა.

— მეც იმას არა ვფიქრობ, აბრიას საიმიხო რა სჭირდა, ეჭვირა ფეხი და ამ ვერანა კლდეზე გადამხტარიყო. — თქვა პაპამ, თვალი მოაშორა მიცვალებულს და მანქანისაკენ გაიხედა.

ელგუჯამ შევიცხლად შეხედა მანქანაზე, საღუმელად დახვრილი მეცა მისაწორა-მოსაწორა და მეუბნებოდა:

— კანონში ნაბადი გლია, მომწოდდე!

დათომ დაამწაწო, გამოიღო ნაბადი და მიაწორა.

— ეგრე ღვობით რაღა ეშველება, — თქვა მახარე პაპამ, — თქვენი მალა ადით, ბალღებო, შენ კი, ელგუჯავ, დაბლა ჩამოდი.

ელგუჯამ ნაბადი გაფინა და, ჩამოსვლას რომ აპირებდა, პაპამ უთხრა:

— იგრე გაფინე, რომ ზეიდანაც წაეფაროს.

— იგრეც გაფინე.

ბიჭები ძარხზე ავხტით, მახარე პაპამ და ელგუჯამ მოგაწოდეს მიცვალებული მერე ისინიც მალა ამოვიხრეს, ნაბადზე დააწყინეს და ზევიდანაც ის ნაბადი წაშურეს. ტყისმცველს მარტო მულქვეითა უჩანდა ფეხები.

— ახლა, — გვითხრა პაპამ, — დათომ მალა დარჩება, თქვენ კი, ორივენი, ჩადით და შოფერს მიუსხედით გვერდით. ელგუჯავ, ნელა და ფრთხილად იარე, შეილა.

ნელა და ფრთხილად მოგვიდოდით...

ტყისმცველის ეზოში რომ შეუხვია მანქანამ და გაიგეს, რატომცა ვიყავნება მეც მზარას და თქვენ რაღა დამიშავებ — რა ღმერთი გამიწყურება და მოგიყვებით! შეძლებ რაც მოხდა, მარტო იმას ვიტყვი: ვილაყამ რაიონში დარეკა — მილიციას შეატყობინა, ასეთი უხედურეა და გავტრიალდაო. ვიღერე მილიცია მოვიდოდა, ჯერ სასწრაფო დახმარების მანქანა მოვარდა. იმ მანქანიდან უფროაღლითანი ხალხი გამოვიდა, დახედეს მიცვალებულს და თქვეს, საავადმყოფოში უნდა წავიღოთო. აბ-

რიას დედა და აბრიას ცოლი ორივენი მეცარას გადაეფარნენ — არ დაგანებებით. ეხვეწნენ, ევედრნენ, ემუდარნენ, მაგრამ ვერაფერს გახდნენ. მერე შოლოციუძე მოვიდა ორი მანქანით. ზოგი ფორმინი იყო, ზოგი სამოქალაქო ტანსაცმლი. ინი ახლა იმით გამოუწიეს ყელი — ხომ უნდა გავიგოთ, გადაავდეს თუ შემთხვევით გადავიარდაო. ამ სიტყვებზე ცოტათი მოტყუდნენ. ბოლოს ძე-ზობლებიც ჩაივრდნენ და ეს მუხზარებით გასაგებებელი კატეხები ძლივ-ძლივით ამოვიღეთ ავლიჯეს ცხედას. ტყისმცველი ტახტიდან სავიაცეზე გადასვენეს, სასწრაფო დახმარების მანქანაში შეიტანეს და უკან გაბრუნდნენ.

მანქანა რომ წავიდა, მილიციის კაპიტანმა იკითხა:

— პირველად ვინ ნახა კლდეში გადაჩეხილი ტყისმცველი?

მაშაჩემი მიუხახოვდა კაპიტანს და ხმადაბლა უთხრა:

— ჩემმა შვილმა.

— სად არის?

— აქა ვარ, — მივედი და წინ დავუდღეკი.

კაპიტანმა ამხედ-დამხედა:

— რა გქვია?

— ვიცი.

— რომელ კლასში ხარ?

— შერევი.

— შენს გარდა სხვებიც იყვნენ?

ჩამოუფუფალე, ვისც იყვნენ.

— ისინი სადღა არიან?

დათომ და რეზო იქვე იდგნენ, თითოთი ვანიშნე ორივეზე.

ელგუჯა და მახარე პაპა კი შინ წავიდნენ, შემის გადამოსაყვლად.

მილიციის კაპიტანმა თანამშრომლები იხმო და მოკლედ მოსტრა:

— ტყეში მივიღიარე ახლავე!

მე და კაპიტანი ერთ „კოლხონისკი“ ჩავსხედით, დათომ, რეზო და ის სხვები — შერევი. ჯერ ჩვენი მანქანა დამიძრა. კაპიტანი შოფერს გვერდით იჯდა, თავი მოაბრუნდა და მეუბნებოდა:

— იმითი სახლი ხომ იცი?

— ვიცი.

— არ გავცდეთ.

— არ გავცდით.

მახარე პაპას სახლთან გაეაჩერებინე მანქანა. გადმოვიდი და ჰიშკრის კარები შევაღე. შეშა უკვე გადმოეტვირათ. ელგუჯა ონჯანთან წახრილიყო და ხელებს იბანდა. მახარე პაპა არ ჩანდა.

— მახარე პაპავ!

— რაო, გიო? — ელგუჯამ გამაგონა.

— მილიციამ, ტყეში წამოიღოთო.

ელგუჯამ მაშინვე დაეკატა ონჯანი, მოიღოდა და ამოშლილი ხალხის კალთით იწმენდა ხელებს.

— შენა ხარ ელგუჯა? — ჰკითხა მილიციის კაპიტანმა.

— დიახ.

— უკანა მანქანაში ჩაქეცი, — ზურგს უკან გადაიქნია აფშევილი ცერო.

მალე მახარე პაპაც გამოვიდა, ჯერ მე დამინახა:

— რა ამბავია, შეილა?

— ტყეში უნდა წამობრძანდეთ, ძია კაცო, — ეუბნება კაპიტანი, — აუცილებელი რომ არ იყოს, ან შეგაწუხებდით.



მხარე პაპამ თუშური ქელი მოიხადა, ხელზე დაიფრთხა, მერე ისევ დაიხურა და დინჯად გამოემართა.

— თუკი ჩემი წამოუსვლელობით დამავდება რამე, რატომ იმის იქითაც არ გამოგყვებით.

კაპიტანი ჩემს გვერდით გადმოჯდა, ჯიბიდან სიგარეტის ამოღო და მიუქცია.

4

რაკი მოსახვევში აღვილი არ იყო, მანქანა აღმართის ძირში, წყაროსთან გავაჩერეთ და ფეხით ავეუყვეთ. მალე მეორე მანქანაც მოვიდა და ისიც იქ გაჩერდა.

მილოციის კაპიტანს მანამდე ხმა არ ამოუღია, ვიდრე კლდეს არ მიეფუახლოვდით.

— შენი სახელი? — მომიტრიალდა.

— გიო.

— ჰო... გიო, ზუსტად, დალაგებით მომიყვე, როგორ დაინახე, მერე რა მოხდა... არაფერი მიუმატო და არც გამოაკლო. პატარა აღარა ხარ და, უნდა იცოდე; დანაშაულის გახსნა შენზეა დამოკიდებული. ვესმის?

— თავი დავექნე.

— დაფიქრი და ისე მომიყვე.

კაპიტანმა კლდეზე გადაიხედა და დანარჩენებს უთხრა:

— დაბლა ჩადით.

— საიდან ჩავიდეთ? — იკითხა ერთმა.

— მე გასწავლით, — თქვა დღითომ და ჩასასვლელი-საკენ გაემართა, — აქეთ უფრო კარგი ჩასასვლელია.

— მოიცადეთ, ყველანი ზუ მიღიხართ, — შეაჩერა

კაპიტანმა. — შენ და შენ, — ერთ ფორმინასა და ერთ უფორმოს უთხრა, — ჩემთან დარჩით. — შემდეგ ხევი მანქანის შიფერს შეხედა, — ფოტოაპარატი ჩაყოფო, შენ უნდა გამოიძიო ეს საქმე, ლევან.

გაკოცდი: თურმე გამოძიებელი ყოფილა, მე კი შიფერი მეგონა!

გამომძიებელი მანქანისაკენ წავიდა.

კაპიტანმა ერთხელ კლდე გადაიხედა კლდეზე, იქ-ურთბა მოათვალიერა და მითხრა:

— აბა, გიო, მოიფიქრე?

— რაც ვიცი, ამას რაღა მოფიქრება უნდა! — მაშინვე ვუპასუხე.

— სწორია, ნამდვილად სწორია იცმენ.

— გადავიხედე კლდეზე და დავინახე, გულამა იქ-ღო ტყისმცველი. ჭერ თვალებს არ დავეჭურე...

კაპიტანმა შემაწყვეტინა:

— მანამდე რას აკეთებდი?

— სოკო დავკრეფე.

— შენი ამხანაგები ტყეში დატოვე და მართკ წამიხველ!


— დიხ.

— რატომ?

— გზაზე მოვიციდით-მეთქი. ცოტა შემეცვლა დეც და მინდოდა ფერდობზე მზეს მივფიცებოდი. ნამ ისინიც მორჩებოდნენ სოკოს კრეფას, იქ რაღა ვეკეთებინა!

— ტყეში არ იყო მზე?





— შეე ყველანაღ არის, მაგრამ ფერდობზე უფრო ატყუნებს.

კაბიტანი კლდეს ჩააშტერდა. მეც გადავიხედე. მახარე პაპა ხელების ქნევით ელპაპრავებოდა გამოძიმებულს — დათოზე ანიზნებდა ამ დროს დათო ისე ჩაწოლილიყო ტოლებშუა, როგორც გადახეხილი ტრისმცველი. გამოძიმებული დათოს აპარატს უმარჯვენადა.

შემიანჯალა — ისეც გამკრა გონებაში იმ საწინებლებამ, რისი მნახველიც ღღეს ვახსენ—ადამიანი დაიღუპა ახლა მისი დაღუპვის მიზეზის დადგენა ზოგისთვის მივახლოვდა, ზოგისთვის კიდევ საფუძვლის კარამღე მისაყოლი უბედურება. ტრისმცველის შვილები გველრაივის დაუძახებენ მამას; თვალი გზისკენ აღარ ექიჩებოდა, ან ახლა გამოჩნდებდა, ან ახლავ. ოჯახს მანუგე-შეგული მხაურო და დამამშვიდებელი იმედი მოაყვალა, იმედი, რომლის იქით სიმახრეთისა და გაქირავების შიშისა რჩება. ამ შიშს ვერასოდეს ვანიციდი, თუკი საყუთარი ბედი არ მივაგაღდეს ზედ. მე არ ვიცი, სხვას როგორ მოეძლიება გულზე — ჩემთვის ეს ადვილად თვალსაშვინი ჭრებულვითა: ტრისმცველის საკალოო მსხალო შუადღისას ჩვენს ეზოშიც აფენს ხოლმე ჩრდილს...

ყველანი გზაზე ამოვიდნენ და კაბიტანის შორიახლო გაქირავნენ, დაელოდნენ, რას შეეტყვისო.

ელგუჯა გულხელდაკარგვლი იდგა, ფიქრში იყო წასული — მაშინ სისხლიანი ცხვირსახოცი რომ გადაავლო, იმას მიშტერებოდა.

კაბიტანმა თვალი გააკოხა ელგუჯას მზერას, სისხლიანი ცხვირსახოცი დიანახა, მივიდა, დასწვდა და ორი თითით აიღო.

- ჩინია? — იკითხა და ცერად გახედა ელგუჯას.
- ვიძი, — უპასუხა ელგუჯამ.
- როგორ თუ შენი?
- სახეზე სისხლი მოსწმინდა ტრისმცველს, — თქვა რეზმი.

კაბიტანმა ცივად გაუშვა ხელი. მერე გამოძიმებულს ჰკითხა:

- კლდის სიმაღლე ვაზომეთ?
- თუ მერტივი იქნება. ამ შემთხვევაში ზუსტი ზომა ბევრს არავფრის ნიშნავს.
- გეთანხმებით. — კაბიტანმა ჯიბიდან სიგარეტის კოლოფი ამოიღო და მახარე პაპას მიაწოდა, — ინებეთო.
- კაი ხანია, აღარ ვაბოლებ. — შეტოვდა ვახვეებული მახარე პაპა, ფეხებთან დაიხედა და მაშინვე ხელსაწყოებით გადაქანდა გვერდზე — თურმე ტრისმცველის სისხლით დამბალ მიწაზე მდგარაყო.

— ესე იგი, — მომჩივრება კაბიტანი, — არავითარი მხაურო არ ვაგვიბა, ჩამოიარე ფერდობი, მოხვედი და გადაიხედე კლდეში?

- ასე იყო.
- კალათი კი მაღლა დატოვე, ხომ?
- არა, კალათი ხელში მეჭირა.
- აი, შენი მეგობრები ამბობენ, სოკოს რომ ვკრეფდები, მაშინ ტრისმცველი დავცხებურაო. მართალია?
- მართალია.

— შენ ახლა ეს მითხარი: როცა ბიჭებს უხმე ვადაჩეხილი ტრისმცველის საშველად, რატომ მაშინვე არ გააყოფ?

— მაგას მე ვიტყვი, — თქვა რეზმი, — ნაკადულთან ვისხელიდა იმის ჩხრიხალი ვერ მოგვაწოდინა ხმა.

— სად არის ის ნაკადული? — ჰკითხა გამოძიმებული.

- იქით, ტყეშია, — ხელი გაიშვირა რეზმი.
- კარგი. თქვენ რომ გამოძიმებით საშველად, გოოს კალათი ხელს დაიანხეთ, სად იდგა?
- არ მასხობეს.

დათომ ფეხით მოხახა ადგილი: — აი, აქ.

— აქ იღო, — დაუმოწმა მახარე პაპამ. ფერდობის ძირში, ლოდზე, ერთი სხვა კაცი იჯდა (ძილილის ფორმა არ ცნია), ჩვენს საუბარს აჩქარებული იწერდა.

კაბიტანმა მახარე პაპას ჰკითხა: — თქვენ რას იტყვით, მია კაცო, როგორი კაცი იყო ტრისმცველი?

— აბა, ვა გითხრა, შვილო, ძვირის სათქმელად როგორ მომიტრიალდებოდა ენა.

— ჰო, მიცალბებულზე ძნელია აუგის თქმა. — მე მაგას არ ვამბობს იმს ვამბობ, რომ ალალი კაცი ვახსიდა, სამართლიანი, იმისათვის შინაური და გარეული არ არსებობდა. დაამეგები რამესა და პასუხიც უნდა გეგო. ერთხელ ვაპატიებდა, მეორედ, მაგრამ მესამედაც თუ აურვედი, იმ დანარჩენ ორსაც ვაგისენებდა საცეცხარივით. კეწუწს იმერ გაიტანდი, იმას რომ არ ვაგეო. რაც ხმა დაუბოხნა და ფიქრი ისწავლა, მას აქეთ სულ ამ საქმეზე იდგა. ამ მიზეზით იყო, რომ მივედი ეს ამოღენდა ტყე თვალში ჰქონდა გატარებული. ფიჩხსაც ვერ გამოხშირავდი — უშეშველად მივიხვდებოდა და ხელსაც დავადებდი, ამა და ამ ადგილზე ვაგოსეტყვევს ტყეო. ამის შემდეგ ველარც სიტყვას შეუბრუნებდი. ციხნებელი, კოლხასავით ეფხარა ტყეს. ბეგრის აუუუღღებია სამართალიში, კარგა მაგრად ვაუშფარებია, მაგრამ ღვთის წინაშე, დამდურებით მაინც არავინ დამდურებია, ყველას ის უთქვამს, შევაყველივ და ანია ჩემშიო. იმთავიდან სულ ასე მახსოვს. ეგეთი კაცი იყო და სთფელსაც იმიტომ ვიფიხებოდა მაღაობო... უფროსი ბრძანდები და ჩემი მისწავლებაც არ დავტრიალდებო — ერთი თვალი და სხვათა ტყეებსაც მოავლე თვალი, განა ეგეთი წილგასახარია იმ სხვათა ტყეებით, გაჩანაგებულია იქაურობა...

ახლა ელგუჯას მიაჩერდა კაბიტანი — შენ რაღად იტყვიო.

— მე ის მიკვირს, რომ როგორ დავმართა! — თავი ასაწია ელგუჯამ, — მართკ ხის მოჭრას კი არა, ტყეში სიარულსაც ცოდნა უნდა. ჯანი არ აკლდა და უხანდელდულობა. უთფლოდ არ გუეცლია ტყეში და უხანდლოდ: ათასი ოხერი დათრეფდა და ესეც ანგარიშგასაწევიდა. რა ექნა, რა დამარწმუნებეს, რომ შემთხვევით გადაეარა. აქ რაღაც ჩახლართული ამბავია.

— მეც ასე მგონია, — თქვა გამოძიმებულმა და გზას სიგანეზე გახედა, — ამსიგანე გზაა და, რაღა მაინცდამაინც კლდის პირზე ვაგიოდლა?

— რა ტყეში სიარულის ხამი ის იყო, — ფერდობისკენ წვიდა მახარე პაპა, — კლდის პირპირ გაეცვლო და ფეხის დასახლოებამდე გაეხადა საქმე, ამოდენა გზაზე ვერ დაეტეოდა?..

— მეც ეს მამეკვებს, — კიტელის საყვლო ვახისნა კაბიტანი, — გადაღებულნი მიჩვენებია.

მახარე პაპა არ დაეთანხმა:

— მაგისი მომჩივნი რომ არავინ მეგულებოდა? მაშინ გამოძიმებულმა მანქანის ნაკაულეკს დაუწყო

კირკიტე, უყურა, უყურა და მერე თავისთვის ჩაილაპარაკა:

— ავარიაა ნაღდი.  
— რას ამბობ? — ჰკითხა კაპიტანმა.  
— ავარიაა-მეთქი! — ხმაბლდა თქვა გამომძიებელმა.  
— რითი ამტკიცებ? — კაპიტანმაც თვალი გააყოლა მანქანაზე მოზბული ფიხით გადავლულ გზას.  
— აი, — ხეისკენ რომ ეძებებოდა, იმ დაღმართისკენ წავიდა გამომძიებელი, — აქედან მანქანა მოდიოდა, რა თქმა უნდა, დატვირთული. — მერე სწრაფად გამოიბრუნდა, კლდეში გადაიხედა, სადაც უნდა მდგარიყო ტყისმცველი, — ტყისმცველი კი აქ იდგა...  
— რატომ მანდა და იქ არა? — ჩააცივდა კაპიტანი.  
— დაინტერესდა, — ვინ არის და რა მოაქვსო. ხედავ? მკვეთრი მოსახვევია. აღმართიდან ამოვიდა მანქანა, მკვეთრად მოუხვია, წამოდო ტყისმცველს და კლდეში გადავლო. ძნელი სათქმელი, შემთხვევით მოხდა თუ განგებ, ფაქტი ეს ერთია: ასე კლდის პირპირ გამოვლო მანქანას ვერაფრით ვერ მოერიდებოდა, საბურავის ნაკვალევი იმდენად არ ეტყობა, რომ ვილაცას ფიხი ჩაუტარებია სათრად.

შეკრთო: ისე ზუსტად თქვა, თითქოს ისიც აქ იყო და ყველაფერს საკუთარი თვალით უყურებდა.  
ქვაზე რომ იჯდა და ჩვენს საუბარს იწერდა, ის კაცი წამოდგა, მომიხალღოვდა და თვალი თვლში გამყარა:

— შენ იცი სიმართლე!  
— არ ვიცი.  
— იცი.  
— არ ვიცი.  
— კარგი მაშინ! ლევან, — გამომძიებელს ეუბნება.  
— გაიმეორე ტყისმცველის დასვლების შენი ვერსია. თან ამ ბიჭს დააკვირდი, როგორ განიციდის! ჯიუტი ჩანს, ტყუილად გვაწვალებს ანდენს!

— რას ამბობ, შეილო? — გაოცდა მახარე პაპა.  
— სიმართლე იცის და გამოლაღეს! — ისევ ქვაზე დაჯდა ისე იყო გაბრაზებული, ჩემზე უფრო იმას წასვლოდა ფერი. — ლევანმა რომ ვერ ვერსია წამოაყენა, შეკრთა... როგარ უცდი, ლევან, დაიწყე.

ლევანმა დაიწყო:  
— აღმართიდან მანქანა ამოდიოდა. მაშინ ტყისმცველი აი, აქ იდგა...

ყველანი თვალეზში მომჩერებოდნენ, აღარ ვიცოდით, რა შექნა.

— რა ამბავია! — გაწყრა მახარე პაპა, — ეგრე, საგანგებოდ რომ მომჩაჩერებთ ყველანი, ამდროულა კაცი ვარ და მეც ფერფერი წამივს!

ლევანი გაჩუმდა.  
ქვაზე რომ იჯდა, ის კაცი ისევ წამოდგა:  
— ამას რას უსმენ! — უყვირა გამომძიებელს, — მე რაკვითხარი, ის გააკეთე!

მაშინ გავიგე: ეს კაცი უფროსი იყო.  
— ბერიკაცი მართალს ამბობს! — მშვიდად გაიარ-გამოიარა კაპიტანმა, — ამისი უფლება არ გვაქვს.

— ვითომ რატომ? საქმის განხილვის უფლება არ გვაქვს? ვერაფერი გამიგია!

— რა არის აქ გაუგებარი? ეს ბერიკაცი და ეს შოფერი, თორემ ამ ზემგებებს გვარსა და სახელსაც ვერ ვკითხავდი. რომელ კანონში ვიჭერია უწლოვანო მშობლების გარეშე დაკითხო?..

— მე კი ვფიქრობ, საკუთარ საჯახირო გზას ჩვენ თვითონ ვირჩევთ...

ამ დროს მოტოციკლეტის ხმაური მოგვესმა — სულ ლოდან მოდიოდა.

ჩვენი უხნის ინსპექტორი, გიგო მტკვე ვერცხვებოდა, საცაა მისწრაფი ტყუილით გააკრავსო. მახარე პაპაში ავტორინსპექტორი იჯდა.

მოტოციკლეტი ფერდობთან გააჩერა, მოტორი ჩაქრო, მოტორი აღდა. სალაში არ უთქვამს:


— რა კაცი დეკარავთ, რა კაცი! — ქული მოიხილა და მართო მახარე პაპას ჩამოართვა ხელი.  
ავტორინსპექტორმა გზას მოავლო თვალი და თქვა:  
— ტყუილად ამოვედი, წაშლილა კვალი. ესეც ხე-

ლია? — წაიშლებოდა, მაშ რა იქნებოდა, ამ ბოლო ერთი კილომეტრზე მარტო ხუთმა სახედრით ჩაატარა ფიხი.  
— კაცი, გიგო, სად იყავი? — შუბლი დაქვეცა კაპიტანმა.

— არ იცი. ვითომ რა უღელი მადგას ქელზე?  
— მაინც?







— ალხანს რომ გვიყოთებდნენ ქლორით, ის მგლები გააბნა.

— მოსალოცად გქონია საქმე. ბევრნი არიან?  
— ორნი. ერთი შენი ნათესავია, — თავი გვერდზე მიაბარუნა ინსპექტორმა.

— შენთვის მიჩუქებია ასეთი ნათესავი!  
— მაღობებელი ვარ, ყელზე ხელ ვაისვია, — აქამდე მაქვს ეგ სიტყვა... ვინ ლედასა, ვინ არის სასიყვდილო და ვინა კვდება... გააჩვიეთ რაზე?

— გაჯავრევეთ, ბიჭები დაგვეხმარებოდნენ და გავარჯევეთ. ბიჭებო, მანქანების ხმაური არ გესმოდით?  
— შორტო ათიოდე წუთში ხუთი მანქანა დაფეთვალა, — მთარა რეზომ.

— ამგვლილი თუ ჩამომგვლილი?  
— ჩამომგვლილი.  
— ეგ როდის იყო?

— ვერ გეტყვით, საათი არც ერთს არ გეძინდა.  
— გიომ რომ გითხრათ, გზაზე მოგბცდითო, მას შემდეგაც ჩაიარა მანქანამ?  
— ტერამი.

— შენ სად იყავი, მაშინ, ვიო? — ჰკითხა კაპიტანმა.  
— იქვე წიწიბოსა ვერადდი, — პიჯაკის ჭიბიდან მუკით ამოვივდი წიწიბო, — თ.

— და ამ ბიჭების საუბარი გესმოდა?  
— ჰო... დანახ, დათო მღეროდა...  
— როგორ დავადგინოთ, როდის მოხდა ეს უბედური შემთხვევა? — იკითხა კაპიტანმა და ინსპექტორს შეხვდა.

ინსპექტორმა თავი ვადაქანია.  
— დაახლოებით შეიძლება, — თქვა ელვუჯამი, — მანქანა რომ დაეჭოქეთ თავივე დასაშვებად, პირველის ათი წუთი იყო. იქიდან აქამდე, ბევრი-ბევრი, ოცი წუთი მიუვლენდ.

გამომძიებელმა საათს დახედო:  
— დარწმუნებული ხარ?  
— მე არ ვციო, რა სიჩქარით მოვდივით? მანქანაც აქ არის დავსხლდო და წავიდეთ. დავინიშნავ საათს და ოც წუთს წამი არ დააკლდება! სულ ამ გზაზე არა ვარ გაყოლო!

— რას იტყვი, რამდენი ხნის მკვდარი იქნებოდა? — ჩაერთა გამომძიებელი.  
— ეგერ მომჩვენა, თითქოს ის-ის იყო, გაათავდა.

— მეც ეგრე მომჩვენა, — თქვა მახარე პაპამ.  
რემომ მხრები შეათამაშა:  
— მაგლა რომ ამოვასვენეთ, მაშინაც ისეც ორთქლავდა სისლი.

— ჰო, — დაეთანხმა მახარე პაპა, — მაგრამ, შევილო, დაბლა ძირღვები უტოკავდა.  
— მეც იმას ვამბობ! — თამაშად წამოიწყო ელვუჯამი, — ახლო დაღუპული იყო. მგონი პირველის ოც წუთზე მოხდებოდა ყველაფერი. ან აქეთ ვცდები ხუთ წუთში, ან—ოქით.

კაპიტანმა თავილი მოგვევლო, მერე ელვუჯას გამოსლო ხელკაფი—მანქანისაკენ წაიყვანა.  
— მანქანა შეგებდა ვისიმე? — ხმადაბლს ეკითხება.  
— ბევრი.

— ყველა შოფერი გახსოვს?  
— დღევანდელი ამბავია და რა ჯანდაბა დამავიწყებდა!

— ოლონდ ისინი გვიანტერესებს, ვინც შენზე წინ წამოვიდნენ.

— მეც ავღებები და იმათ დაგისახებლებ. თუცა შეეკვება, რომელიმეს ჩამოვლა ჩვენს გამოანგაროშებულ ღროს დაღმთვას. გვაგობს ჩავაყრირინეთ და დანარჩენს თქვენ იცით. საჭირო იქნება და პირზედაც დავადგებთ. ან არადა, მარტო მე ხომ არ დავინახე — ქვეყანა იქ არ იყო! ხალხნი ვართ, შეიძლება ვინმე გამომჩირეს — სხვისაც კითხეთ.

— მაგზე სოფელში ვილაპარაკეთ. ვიგო! — ინსპექტორს ლედასა, — შენ და მენაბდე, — ლიტიწინატზე უთხრა, — მიღგებ-მიღგებებით და სიღამომღე დაადგენთ, დღეს ვინ იყო ტყეში — შოფერი იქნება, მეღერო თუ სოკოზე წამოვლილო, ამას მინიშნობა არა აქვს.

— მაშინ სოფელში რაღა გვინდა, დავრჩებით.  
— ისე მოიქეცით, როგორც ამჟობინებთ...  
მერე მანქანებში ჩაესხედით და სოფლისკენ დაუხვიეთ.

გამომძიებლის გვერდით ისეც მახარე პაპა იჯდა, ჩემს გვერდით — კაპიტანი.

ერთხანს კაპიტანი ხმას არ იღებდა—დაფიქრებული დასჩერებოდა აძაგაგებულო მანქანის გვერდით აქანაგებულ მიწას და სიგარეტს სიგარეტზე ეწვიდა.

ტყვიად რომ მივადვლით, კაპიტანმა თავი ასწია, ზვრებს გახვდა და სინანულით თქვა:  
— ვითომ ავადმყოფობა არ გვეყოფინდეს, მივადგებით და ერთმანეთს ვხოცავთ.

მახარე პაპა შემობრუნდა:  
— ზოგი მანქანითაო, ზოგი—იარაღითაო, ზოგი ამითა და ზოგიც იმით. ჩასაკვირ-დასახური ჩვენ არ ვაკვლია და საჩიროსაბედებო. მინც ხელსა და ჯანს არ ვასვენებთ, ღედაშიწუ ვხვებვემ გვაქვს გაღბულო... დაღლივართ, ღობე-ყორთს ვედეგით და ხიფათსაც მიიტომ გაღდავსუდებით ხოლმე... უწინ სად იყო ამდენი ნერვება-ჩაობხებულო, შურითა და ბოღმით გატენილ ხალხი!..

— ასე რატომ ბრძანებ, ძია კაცო? — ეწყინა კაპიტანს.

— ეგე, ამ ამბისათვის. ვის რა დაღუშავა, გავგებულო კაციც ის იყო და დაღუპებულაც. ვიღაცა დამთხვეულს ხალხის დოვლათის განიავება არ დაანება, ამიტომაც აღზნენ და კვლავ გადარჩენეს.

— თქვენც ასე ფიქრობთ? — სვლა შეანელა გამოძიებელმა.  
— ეგრე ჩანს და სხვანაირად რად ვიფიქრებ?!  
სოფელში შევედიო. კაპიტანმა კვლავ ვაბოლა სიგარეტი და თქვა:

— სამწუხაროა: ზოგჯერ დამანაშავეს ხელს ვაფარებთ, გვეშინია, მაზეზღარას სახელი არ ვაგვიგარდეს. ვითომ ის უარესი არ იყოს, დამანაშავე მართალი კაცივით რომ დაღის. ისინი, ვინც სიმართლის მოთქმელს მაზეზღარას, ჯამუშს ეძახიან, ქურდები და ავანაყები არიან...

— მეც მანდა ვარ, — დაეთანხმა პაპა.  
— ასეთი მშინაარს მოწყობები, — განაგრო კაპიტანმა, — ცალკე გენახავენ ხოლმე და ყურში გვეუბნებიან, რაც იყო და როგორც იყო. თან ცოლ-შვილს გვაფიცებენ, ღელ-მამის სულსაც, ჩვენში დარჩათ. რა თქმა უნდა, სიტყვა სიტყვა... იმ არაკაცმა რატომ გადაადგო, რა დაღუშვა!..

— არაფერი, — წამომკდა უცებ და ავი მაშინვე დავამატე, — ალბათ არაფერი.







ფოტოზე, ზემოთ: მუხომი მეფრინველების რიკის დირექტორი მ. კოვზაძის (მარცხნივ) და მშენებლობის მთავარი ინჟინერი ბ. ხოსიტაშვილი იხილავენ საქონის, ფუ როგორ სრულდება მშენებლობის გეგმები.



ფოტოზე, ქვემოთ: ვიტაქიმ შოთა გაჩეჩილაძის ხელმძღვანელობით მშ. დინარეობს ქათმის გაკვეთა ღიაგოსტიკისათვის.

რექტორის კონსტანტინე კოვზაძის.

— როგორ მუშაობს ამჟამად ფაბრიკა და როგორია მომავალი ვეგმები?

ოთხთვიანხევეარია, რაც საექსპლუატაციოდ ჩავიბარეთ ფაბრიკის პირველი რიგი. მისი საპროექტო სიმძლავრეა წელიწადში ორი მილიონი ბროილერი, ესე იგი მთელი ფაბრიკის სიმძლავრის ნახევარი. დავიწყეთ

იმით, რომ ბალტიისპირეთის რესპუბლიკებიდან შემოვიხილეთ ირლანდიური მეხორცული ჯიშის ქათმის კვერცხი. ინკუბატორში ყოველ ხუთ დღეში ვაწყოთ 100000 ცალ კვერცხს. წიწილების გამოჩეკვის პარალელურად ხდება განთავისუფლებული ადგილების შევსება ახალი სანაშენე კვერცხით. აღნიშნული პროცესი წუთითაც არ წყდება. აღსანიშნავია, რომ ამ ჯიშის ქათმს ახასია-

თებს სწრაფი მატება წონაში. სამოცდაათი ღლის წიწილა უკვე კილნახევარზე მეტს იწონის. მიმდინარე წელს გეგმით წლის ბოლომდე უნდა ვწარმოთ 717 ტონა ხორცი, კოლექტივმა კი ივალდებულა დაეალებს 100 ტონით გადაჭარბებით შესრულება.

— როგორ შეეჩვივნენ ფეხებს ახალშობიანდრენი?

— ჩვენი გამოცდილებით შეილება ითქვას, რომ საქართველოში ამ ჯიშის ფრინველის მოშენებას კარგი პირობები უჩანს. ნამატის შენარჩუნება კერძოდ 97 პროცენტია. ეს კი დასაწყისისათვის ურიგო მაშვენივლი არაა. წონამატეც მაღალია, რაც იმისი საწინდარია, რომ ხორცი მაღალხარისხოვანი და კალორიული იქნება. მაგრამ, საქმე რომ კარვალ წარვმართოთ, საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს როული და მზავალფეროვანი ტექნოლოგიური პირობების ზუსტად დაცვას. მაგალითად, საქათმეებში, წიწილების ზრდასთან ერთად შესაბამისად უნდა იქნას დაცული სხვადასხვა ტემპერატურა, ზუსტად გათვალისწინებულ დროს ჩატარდეს სადგომების გაწესუფთავება-დენიფიკაცია.

საქართველოში მეფრინველეობის განვითარება დიდი რაოდენობით რეოვიეტ-სპეციალისტებს, მექანიკოსებსა და ენერგეტიკოსებს მოითხოვს.




# ძველ ნუკიანთან

გ ზ ი ა რ ხ ე ზ ი ა ნ ი

ჩემი ღიღინით წამოგვეწია  
საღამოს ბინდი კალთაშრიალა,  
მიმოაძინა შაშვიცი, მზეწვიაც,  
და ვარსკვლავები ააჩხარიალა.  
სიცილ-კისკისით ძველ ნაციხართან  
ფიცხლად გაგშალეთ კარები ნისლა;  
გალობდა ღამე — ოქრის ნისკარტა  
ლურჯი ფრინველი...  
გალობდა დიდხანს.  
შორს,  
ხევადაღმა დარდობდა ისევ  
„ბიჭო გოგია“ დაკარგულ ძმაზე;  
ხევში ეძინათ მოლურჯო ნისლებს  
და წიფლიანში — გარეულ ვაზებს.  
ოცნებასავით იწვევდა მარლა  
და გიზგუზებდა კოცონი ჩვენს;  
ტყე ვებრუნებდა სამღერის ტალღას  
და გაუგუნებდნენ ბერციხის ბუჩქნი...

დარიალებდნენ ძველი ლანდები,  
გმირთა ლანდები,  
ხავსიან ქვებზე;  
— ბიჭო გოგია! — დაი დარდობდა, —  
მთელი სიცოცხლე ამაოდ გძებნე...  
— ვოი, გოგია! —  
ქუნდა კლდე სალი,  
მთა მოსახბოდა ტურების კვილს,  
თეთრი დაღები ჯიხვებს მწყემსადანენ,  
ყულზე ცვიდათ ვარსკვლავთა მძივი.  
ურხეგდა ქარი — ცელქი გოგონა —  
მღელღოს ბინდბუნდით დანილულ კალთას,  
ტყის იდუმალი ხმებიც მოაქონდა,  
ვეღარ ვარჩევდი თ ზღაპარს და მართალს.  
ლურჯი ფრინველი ოქროსნისკარტა —  
შევა გვაფრევევდა ჯაღნისურ ღიმილს  
და ტრიალებდა ძველ ნაციხართან  
ქართული მიწის სურნელი ტკბილი.




ამიტომ არ იქნება ურიგო, თუ ზო-  
რეცტერიზარულ ინსტიტუტში შეიქ-  
მნება შესაბამისი ფაკულტეტი ან  
განყოფილება, სადაც მსურველები  
ფრინველის მოვლის ფორმებსა და  
მეთოდებს შეისწავლიან.

— როგორ მუშაობს ფაბრიკის კო-  
ლექტივი?

— ყველა ხალხით ეცილება და-  
კისრებულ საქმეს. აქ მუშაობა ახა-  
ლი რამ არის. ყოველი სიახლე კი  
აღმაინებს ინტერესით განაწყოებს  
საქმის მიმართ.

ჩვენთან ახლახან შეიქმნა კომკავ-  
შირული ორგანიზაცია, რომელიც,  
ცხადად, კარგად დაგეგმვარება საქ-  
მის წარმართვაში. ხალხფერი შრო-  
მით გამოირჩევიან სანიტრები, ლა-  
ბორანტები და მეფრინველები —  
ლუდშილა ფალავანდიშვილი, რუ-  
სუდან კაჭაია, მარო ცირამუა, ეუ-  
ნუხა და ხათელა გოგოჭუბები, რო-  
ნა შუბითიძე და სხვები.

— გთხოვთ გაგვაცნოთ წინა წლე-  
ბის შესაბამის პერიოდთან შედარე-  
ბით. მოსახლეობაში ფრინველის  
ხორცის რეალიზაციის ამსახველი  
რამდენიმე ციფრი.




მაღალ მუშაობაში ჩაღმაბა  
კიდევ ერთი კოჩკუსი.

კონსტანტინემ დავთარში ჩაიხედა  
და ქმყოფილებით გვითხრა:

— აი, შეხედეთ, რა საინტერესო  
ცნობებს გვწვდის ცენტრალურ-  
ი სტატისტიკური სამმართველო:  
1954 წელს რესპუბლიკაში იყო ძაო-  
ლოდ ერთი — გაგარის მეფრინველ-  
ობის ფაბრიკა. სავაჭრო ორგანიზა-  
ციებს ჩაბარდა 68 ათასი ფრთა ფრინ-  
ველი, სამი ათას ცხრაასი კვერცხი,  
118 ტონა ფრინველის ხორცი.  
შარშან კი რესპუბლიკაში მოსახ-  
ლეობას მიეყიდა სამი მილიონ ხუ-  
თას ორმოცდათხუთმეტი ათასი  
ფრთა ფრინველი, ექვსი ათასი ტონა  
ფრინველის ხორცი და ორას მილი-  
ონამდე კვერცხი. ორი წლის მერე  
კი ეს მაჩვენებლები სულ ცოტა  
ერთი-ორად გაიზარდება. დიან, ორ-  
ჯერო. ამგვარად, ამ სახის პროდუქ-  
ციით მოსახლეობის მომარაგების  
ამოცანა წარმატებით იქნება გადაქ-  
რალი.

ა. ხარშიანი.





ძობენ განვითარებას საზოგადოების შეგნებაში, ყოველი ეპოქა თავისებურად შეაფასებს ამ მოვლენას და არა რიც სწორად არ უნდა გაიგონ იგი, წარველ მომდევნო ეპოქას დარჩება თავისი სათქმელი, უფრო ახალი და უფრო სწორი“.

პუშკინმა ახალგაზრდობიდანვე შეიგნო, რომ საბჭო-როა შეუძლებელი ბრძოლა ლიტერატურისადმი დღევანდელ ტანტრო-ფორმალისტურ დამოკიდებულებასთან და ხანს უსჯამდა, რომ პოეტურ შემოქმედებას იგი უსურვებდა. არა როგორც „გულუბრყვილო გაერთობას“, არა როგორც „სასამშენო დროსტრატებას თავისუფალ სათქმე-ში“, არამედ, როგორც ცხოვრების ძირითად საქმეს. პოეტის ამოცანა იმაში კი არ მდგომარეობს, რომ დაატყ-ბოს „შეითხველ მანდილოსანთა ნახი ყურები და მათი ღიმილი გამოიწვიოს“, არამედ იმაში, რომ მისმა სიტყ-ვებმა „ადაშიანებს გული დაუღაგოს“; ე. ი. პოეტურ შემოქმედებას პუშკინი უაღრესად მნიშვნელოვან სა-ზოგადოებრივ ფუნქციას აკისრებს — იგი ეპოქის მო-წინავე იდეათა დონეზე უნდა იდგესო, ამბობს პოეტი. პუშკინმა აღადგინა წინა პერიოდის ლიტერატურის ტრა-დიციები — ლომონოსოვის ეროვნულ-პატრიოტული ტრადიცია, რადიშჩევის რევოლუციური ტრადიცია და დეკაბრისტების ამოუღვა მხარში, თუმცა მათი ორგანა-ზაციის წევრი არ ყოფილა.

XIX-XX საუკუნეთა რუსული ლიტერატურის სათა-ვეებთან დგას პუშკინის გენია, იგია ახალი ლიტერატუ-რისა და ახალი ლიტერატურული ენის ფუძემდებელ-ჯერ კიდევ 20-30-იან წლებში პუშკინის ირგვლივ შემო-იკრება ნიჭიერი პოეტების მთელი პლეადა—ბარატინსკი, რილევი, იახიკოვი, ვენევიტინოვი, დელვიგი; დიდა პუშკინის გავლენა ლერმონტოვზე, გოგოლზე, ტურგენე-ვებზე, გონჩაროვზე, ოსტროვსკიზე, ნეკრასოვზე; მოგ-ვიანებით მის გავლენას განიცდიან ლ. ტოლსტოი, ჩხო-


# დიდი პუშკინი

დაბადების 175 წელი  
(1799-1887)

მიმდინარე 1974 წელი მსოფლიო კულტურის ისტო-რიაში ღირსშესანიშნავი თარიღის წელია, მთელი განა-თლებული მსოფლიო დიდებული რუსი პოეტის—ალექ-სანდრე პუშკინის დაბადების 175 წლისთავს აღნიშნავს. ხოლო ჩვენს ქვეყანაში ამ წელს პუშკინის წელი შეერ-ქვა. თვითონ პუშკინმაც იცოდა, რომ ყოფილ რუსეთის იმპერიაში შემავალ ხალხთათვის მისი პოეზია ისევე გამომხატავდა მათ ოცნებას და სულისკვეთებას, ისევე გასაგებოდა იყო, როგორც რუსთათვის. აკი ამბობდა პოე-ტი ლექსში „ძეგლი“: რუსეთში შემავალ ხალხთა შო-რის ჩემი სახელი ცნობილი გახდება, არ გაუქმდება ჩე-მი ძეგლისკენ მიმავალი ბილიკიო. რუსული კულტურის-სათვის პუშკინის მნიშვნელობა ზედმიწევნით ზუსტად განმარტა ბ. ბელინსკიმ. იგი წერდა: „პუშკინი „ეკუთვნის იმ მარად კოცხალად მარად მოძრავ მოვლენათა რიცხვს, რომლებიც არ ჩერდებიან იმ წერტილზე, რომელზედაც მათ სიკვდილმა მოუხსრო, ისინი განაგრ-

ვი, გორკი, მიაკოვსკი, და XX საუკუნის რომელი რუსი, თუ არა რუსი პოეტი ასედა ამ ზედნიერ გავლენას ჩერ-ნიშებსკი წერდა პუშკინის შესახებ: „ჩვენში მან პირ-ველმა ააბაღა ლიტერატურის ეროვნული საქმის დო-ნებზე, მაშინ, როდესაც უწინ ლიტერატურა დილტანტ-ტოა ეიჭრა წრის სასიამოვნო და სასარგებლო დროს-ტრავება იყო. პუშკინი იყო პირველი პოეტი, რომელმაც რუსი საზოგადოების თვალში დააკავს ის ადგილი, რომელიც უნდა ეკავოს თავის ქვეყანაში დიდ მწერალს“.

პუშკინის პოეზიაში აისახა რუსი ხალხის ეროვნულ-ხასიათის საუკეთესო თვისებები — ლტოლვა სამართ-ლიანი საზოგადოებრივი წყობისაკენ, თავისუფლებს სიყვარული და ბრძოლისათვის მზადყოფნა, მისი კაცო-მოყვარეობა. პუშკინს სჯეროდა, რომ შეუძლებელია და-სამარება იმ ძალენისა, რომელიც რუს ხალხში ჩაქო-ვილი და დასაბამითვე მოცემული, შეუძლებელია, რომ ამ ძალებს მქონე ხალხმა არ გამოიღვიძოს და ხუნდები არ მოიცილოს. ჩვენი საუკუნის 30-იან წლებში ამერი-კელი მწერალი თეოდორ დრაიზერი წერდა: „პუშკინი იყო პირველი წინასწარმეტყველი დღევანდელი რუსი“.




თისა, პირველი, ვინც დაინახა რუსი ხალხის მორალური და სოციალური ზრდის განადიოზული პოტენციური შესაძლებლობანი“.

პუშკინი ჰემპარიტად ისახალო პოეტი იყო, ხოლო მისი შემოქმედება — ერის სულიერი განვითარების. მოწინავე ეროვნული კულტურის განვითარების უღრველესად მნიშვნელოვანი ფაქტორი. პუშკინი არ შედიოდა დეკაბრისტების ფარულ ორგანიზაციაში, მაგრამ მთელი სიცოცხლის მანძილზე ქადაგებდა თავისი დროის ყველაზე მოწინავე იდეებს. თავისი ლექსებით აღვიძებდა თანამედროვეთა ეროვნულსა და პოლიტიკურ შეგნებას, უჩრევად დესპოტიზმისა და ბატონყმობის სიძულვილს, მათ წინააღმდეგ ბრძოლის სურვილს. პოეტის სანუკვარი ოცნება იყო ხალხთა შორის მეგობრობა, ურთიერთისაღმი კეთილად განწყობილი ხალხების ერთ დიდი ოჯახში გაერთიანება. დეკაბრისტების დამარცხების შემდეგ „ღრმე სევდა დაეუფლა ყველა მოაზროვნე ადამიანის გულს, — წერდა გერცენი, — მხოლოდ პუშკინის წმინდა და ლაღი სიმღერა ისმოდა მონობისა და ტანჯვის ველზეზე; ეს სიმღერა აგრძელებდა წარსულ ეპოქას, თავისი ვაჟკაცური პანგებით აგებდა აწმყოს და შორეულ მომავალს გადასახოდა“. ამიტომ იყო ეს სიმღერა ახლობელი და მშობლიური არა მარტო რუსი, არამედ ყველა დამოუკიდებელი ხალხისათვის; ამიტომ იყო, რომ იგი შეიძლება მეფე ნიკოლოზ პირველმა და მასთან დაახლოებულმა წრეებმა, და ავი ჭერ სიცოცხლე გაუმწარეს და შემდეგ მოკლეს გენიალური პოეტი.

1820 წელს რუსეთის მეფემ პუშკინს გადასახლების აღკვეთა კავკასია მიუჩინა, მაგრამ მაშინ მხოლოდ პიატიგორსკის მაღლობებიდან მისწავდა მისი თვალი კავკასიონის მშვერვალებს. საქართველო პუშკინმა პირველად 1822 წელს გამოცემულ პოემაში „კავკასიის ტყვე“ ახსენა. ამაზე ადრე და შემდეგაც პოეტს უდიდესი სურვილი ჰქონდა საქართველოს ნახვისა, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხა ჩამოსვლა. ბოლოს, პოეტი, რომელიც ფაქტურად ნიკოლოზ პირველის ტყვეობაში იმყოფებოდა, უნებართვოდ წამოვიდა საქართველოში. თბილისში იგი ჩამოვიდა 1829 წელს. მაშინ რუსეთი თურქეთს ებრძოდა და ფრონტზე იყენებ პუშკინის ძმა, მრავალი მისი მეგობარი და გადასახლებაში მყოფი დეკაბრისტები. მათთან შეხვედრის სურვილის გარდა, გაწამებულ პოეტს უნდოდა გაეცნოდა იმ მძიმე ატმოსფეროს, რომე-


ლიც სუფევდა პეტერბურგის მაღალ საზოგადოებაში. საქვეყნოდ ცნობილ პოეტს ანდარბერია უფვალოვან ლედა და თავისუფლად ამოსუნთქვის საშუალებას აძლევდა.

იმ პირველი ჩამოსვლისას პუშკინმა თბილისში ორი-ოლე კვირა დაჰყო, შემდეგ თურქეთის ფრონტზე წავიდა და არზრუმიდან დაბრუნებისას კვლავ თბილისში გაჩერდა. გარდა ნარკვევისა „მოგზაურობა არზრუმში“. საქართველოში მიღებულ შთაბეჭდილებათა შედეგად



პუშკინი ბავშვობისას

პოეტმა დაწერა ლექსები: „საქართველოს მთებზე“, „კავკასიონი“, „მონასტერი მყინვარზე“, „ზვავი“. პოეტი ტყებზე საქართველოსა და, სავროდ, კავკასიის ბუნებით, აღფრთოვანებული უმღერს მას, მაგრამ იმასაც





პუშკინი განსაკუთრებული მოვლენაა. მასში რუსეთის ბუნება, რუსის სული, რუსული მეტყველება, რუსული ხასიათი ისეთი სისპეტაკით, ისეთი ფაქიზი სილამაზით აიხსნა, როგორადაც აიხსნებოდა ხომელ ლაღდ შავფეი ოპტიკური მინის ამობურცულ ზედაპირზე.

**6. გომარი.**

